



# Cannes Young Lions Georgia 2017



## სარჩევი

მიმოხილვა.....	3
ვის შეუძლია მიიღოს მონაწილეობა Young Lions Georgia 2017-ში? .....	4
როგორ მივიღოთ მონაწილეობა? .....	5
სად ტარდება კონკურსი? .....	5
ვინ ამზადებს დავალებებს გუნდებისთვის? .....	5
ვინ შეაფასებს ნამუშევრებს? .....	5
ღონისძიების მსვლელობა ასეთია:.....	6
კატეგორია - ბეჭდური რეკლამა .....	6
კატეგორია - ახალგაზრდა მარკეტერი .....	7
კატეგორია - დიზაინი .....	8
კატეგორია - ვიდეო რეკლამა .....	8
კატეგორია - ციფრული კამპანია .....	9

## მიმოხილვა

სარეკლამო სფეროს ყველაზე დიდი მოვლენის – კრეატივის საერთაშორისო ფესტივალის „Cannes Lions 2017“-ის ახალგაზრდული შესარჩევი კონკურსი, თბილისში სტარტს 1-ელ აპრილს აიღებს. ღონისძიების გენერალური პარტნიორია საინვესტიციო ჯგუფი „ბიჯეო“ (BGEO Group), რომლის მხარდაჭერით კონკურსი გაიმართება ხუთ სხვადასხვა კატეგორიაში და, შესაბამისად, ხუთი გამარჯვებული გუნდი 2017 წლის ივნისში საფრანგეთში, კანის საერთაშორისო ფესტივალზე საქართველოს სახელით მსოფლიოს საუკეთესო ტიტულისთვის იბრძოლებს. „Cannes Lions“-ის ახალგაზრდული კონკურსი საქართველოში უკვე მესამე წელია ტარდება. წელს, ქართული სარეკლამო სფეროსა და მარკეტინგის ახალგაზრდა ტალანტები დიზაინის, ბეჭდური რეკლამის, ციფრული კამპანიის, ახალგაზრდა მარკეტერისა და ვიდეო რეკლამის კატეგორიებში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

„Cannes Young Lions 2017“-ის ახალგაზრდულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სარეკლამო და ციფრულ სააგენტოებში დასაქმებულ 31 წლამდე ახალგაზრდებს. ასევე, კატეგორიაში - „ახალგაზრდა მარკეტერი“ მონაწილეობას შეძლებენ ადგილობრივი კომპანიების მარკეტინგის დეპარტამენტში დასაქმებული ახალგაზრდები. კონკურსი 1, 2 და 8 აპრილს იუსტიციის სასწავლო ცენტრში გაიმართება. კონკურსანტები მიიღებენ დავალებას, რომლის შესასრულებლადაც 24 საათი ექნებათ. ნამუშევრებს როგორც ქართველი ასევე საერთაშორისო მაღალი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი ჟიური შეაფასებს და თითო კატეგორიაში ბრინჯაოს, ვერცხლის და ოქროს მედალოსნებს გამოავლენს. ოქროს მედალის მფლობელი 5 გუნდი კი ივნისში საფრანგეთში, კანის ფესტივალზე საქართველოს სახელით წარდგება.

## ვის შეუძლია მიიღოს მონაწილეობა Young Lions Georgia 2017-ში?

- კონკურსანტი უნდა იყოს არაუმეტეს 30 წლისა, ანუ დაბადებული 1986 წლის 25 ივნისის შემდეგ;
- აუცილებელია ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა. საბოლოო ნამუშევრები ინგლისურ ენაზე ბარდება (ადგილობრივი უიურის გარდა კონკურსს ჰყავს საერთაშორისო სარეკლამო ბაზარზე მოღვაწე მონწვეული ჯიურის წევრები);
- იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოთ კატეგორიებში - ბეჭდური რეკლამა, დიზაინი, ციფრული კამპანია და ვიდეო რეკლამა, დასაქმებული უნდა იყოთ სარეკლამო/ციფრულ სააგენტოში;
- იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოთ ახალგაზრდა მარკეტერის კონკურსში, დასაქმებული უნდა იყოთ ადგილობრივი კომპანიის მარკეტინგის დეპარტამენტში (ამ კონკურსში ვერ მიიღებენ მონაწილეობას სარეკლამო სფეროს წარმომადგენლები);
- გუნდი შედგება 2 ადამიანისგან, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ დამსაქმებელ კომპანიას;
- თითო გუნდს/ადამიანს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ერთ კონკურსში, მიუხედავად იმისა, რომ კონკურსები სხვადასხვა დროს ტარდება;
- ბეჭდური რეკლამის, ვიდეო რეკლამის, დიზაინის და ციფრული კამპანიის კონკურსებში მონაწილეობა ფასიანი და განისაზღვრება 200 ლარით თითო გუნდზე. ACAG-ს (საქართველოს საკომუნიკაციო სააგენტოების ასოციაცია) წევრ სარეკლამო კომპანიებს უფლება აქვთ უსასყიდლოდ წარადგინონ თითო გუნდი თითოეულ კატეგორიაში;
- ახალგაზრდა მარკეტერის კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ კომპანიას უსასყიდლოდ;
- კონკურსში მონაწილეების რაოდენობა შეზღუდული არ არის;

## როგორ მივიღოთ მონაწილეობა?

- თუ აკმაყოფილებთ ყველა ზემოხსენებულ კრიტერიუმს, გთხოვთ, შეავსოთ სარეგისტრაციო ფორმა, რომელიც დაიდება 13 მარტს [კანის წარმომადგენლობის ოფიციალურ Facebook ჯგუფში](#), სადაც მიუთითებთ თქვენი და თქვენი გუნდის წევრის პირად მონაცემებს და თქვენი დამსაქმებლის სახელს;
- რეგისტრაციის დასრულებამდე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებთ დასტურს კონკურსში მონაწილეობაზე და ინფორმაციას ტექნიკურ დეტალებზე;

## სად ტარდება კონკურსი?

- კონკურსი ტარდება იუსტიციის სასწავლო ცენტრში: 3ა სანდრო ეულის ქუჩა.

## ვინ ამზადებს დავალებებს გუნდებისთვის?

- კონკურსების დავალებებს ამზადებენ ადგილობრივი და საერთაშორისო დონის პროფესიონალები. დავალების მომზადების პროცესში ჩართულია კანის ლომების საერთაშორისო წარმომადგენელიც. დავალება გასაიდუმლოებულია კონკურსის დაწყების წუთამდე.

## ვინ შეაფასებს ნამუშევრებს?

- უიური შედგება როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სარეკლამო ბაზარზე მოღვაწე პროფესიონალებისგან. უიურის თითოეულ კატეგორიაში ყავს პრეზიდენტი, რომელიც სათავეში ჩაუდგება პროფესიონალების გუნდს. უიურის პრეზიდენტები კატეგორიების მიხედვით: ბეჭდური რეკლამა - გიორგი პოპიაშვილი; დიზაინი - გიგა ხატიაშვილი; ციფრული კამპანია - ლაშა გოგუა; ვიდეო რეკლამა - დავიდ გოგიჩაიშვილი; ახალგაზრდა მარკეტერი - რეზო ჩარკვიანი. უიურის ზუსტი შემადგენლობის გასაგებად, თვალი ადევნეთ [კანის წარმომადგენლობის ოფიციალურ Facebook გვერდს](#). (Cannes Lions Georgia)

## ღონისძიების მსვდებობა ასეთია:

- მონაწილეები იკრიბებიან იუსტიციის სასწავლო ცენტრში კონკურსის დღეს
- ისინი დეტალურად ეცნობიან მათთვის გამზადებულ დავალებას. ამის შემდეგ ეცნობიან კონკურსის წესებს, განრიგს და იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტექნიკურ შესაძლებლობებს, იწყებენ მუშაობას
- გუნდებს აქვთ 12, 24 ან 48 საათი, რათა შეასრულონ დავალება (კატეგორიების მიხედვით)

## კატეგორია - ბეჭდური რეკლამა

1 აპრილი 2017

ორკაციანი გუნდი, რომელიც პირობითად შედგება ქოფირაითერისა და არტ დირექტორისგან, ვალდებულია მოამზადოს ბეჭდური რეკლამა (პოსტერი), რომელიც აკმაყოფილებს მიღებულ დავალებას და ახდენს გუნდის წევრების კრეატიულობისა და პროფესიონალიზმის დემონსტრირებას

გუნდები იღებენ ამომწურავ ინფორმაციას და დეტალურ დავალებას დამკვეთი ორგანიზაციისგან კონკურსის დღეს 09:00 საათზე, იწყებენ მუშაობას 10:00-ზე და აქვთ 24 საათი დავალების შესარულებლად. კონკურსანტები ამ პერიოდის განმავლობაში არ ტოვებენ იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტერიტორიას.

## კატეგორია - ახადგაზრდა მარკეტერი

2 აპრილი 2017 - I ეტაპი; 8 აპრილი, 2017 - II ეტაპი (პრეზენტაციები)

გუნდი, რომელიც შედგება 2 ადამიანისგან ადგილობრივი კომპანიის მარკეტინგის დეპარტამენტიდან, მიიღებს გამოწვევას იმუშაოს სოციალური პასუხისმგებლობის პროექტზე. დასახული მიზნის შესასრულებლად, მაგრამ ამავდროულად თავისი დამსაქმებლის სახელით, გუნდი ვალდებულია:

- მოამზადოს ბრიფი (მაქსიმუმ 2 გვერდი), რომელშიც ნათლად პასუხობს ორგანიზაციის სოციალურ მიზნებს

*(ბრიფის რეკომენდებული ჩაშლა: ინფორმაცია თქვენს კომპანიაზე, პროექტის სახელწოდება, პროექტის ბიზნეს შედეგი, სამიზნე აუდიტორია, კამპანიის მიზანი, მთავარი მესიჯი, დავალება, ბიუჯეტი, განრივი)*

- შექმნას პროდუქტი/სერვისი იმ ბრენდის კონცეფციაზე დაყრდნობით, რომელსაც თავად წარმოადგენენ (ეს არ უნდა იყოს უკვე არსებული პროდუქტი)

გუნდმა უნდა მოამზადოს მაქსიმუმ 10 გვერდიანი სლაიდ პრეზენტაცია და წარუდგინოს ჟიურის, რისთვისაც მას 5 წუთი ექნება. ჟიური მოგვევლინება სარეკლამო სააგენტოს როლში და ექნება 5 წუთი, რათა დაუსვას მონაწილეებს კითხვები. (პრეზენტაციის ეტაპზე გადავა მხოლოდ ის ათი გუნდები, რომლებიც ბრიფის შეფასებაში მიიღებს საუკეთესო ქულას.)

გუნდი შეფასდება ბრიფის სიზუსტით, პროდუქტზე/სერვისზე, თავიანთ ორგანიზაციაზე და მის მიზნებზე დემონსტრირებული ცოდნით, ისევე, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის კამპანიის მიზნებზე დაგროვილი ცოდნით.

გუნდები იღებენ ამომწურავ ინფორმაციას და დეტალურ დავალებას დამკვეთი ორგანიზაციისგან კონკურსის დღეს 11:00 საათზე, იწყებენ მუშაობას 12:00-ზე და აქვთ 12 საათი დავალების შესასრულებლად. კონკურსანტები ამ პერიოდის განმავლობაში არ ტოვებენ იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტერიტორიას.

## კატეგორია - დიზაინი

8 აპრილი 2017

ორკაციანი გუნდი, რომელიც პირობითად შედგება გრაფიკული დიზაინერისა და არტ დირექტორისგან, მიიღებს დავალებას დამკვეთი ორგანიზაციისგან, რომლის მიხედვითაც მოუწევს შექმნას ბრენდის იდენტობა. კონკრეტულად კი: ბრენდის ლოგოტიპი; მისი გამოყენების სამი რალური მაგალითი; 150 სიტყვიანი აღწერა, სადაც ნათლადაა წარმოდგენილი ბრენდის ხასიათი და ის თუ როგორ აკმაყოფილებს ის მიღებულ დავალებას და ასევე 150 სიტყვიანი აღწერა, თუ როგორი განვითარება შეიძლება იქონიოს ბრენდმა.

გუნდები იღებენ ამომწურავ ინფორმაციას და დეტალურ დავალებას დამკვეთი ორგანიზაციისგან კონკურსის დღეს 09:00 საათზე, იწყებენ მუშაობას 10:00-ზე და აქვთ 24 საათი დავალების შესარულებლად. კონკურსანტები ამ პერიოდის განმავლობაში არ ტოვებენ იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტერიტორიას.

## კატეგორია - ვიდეო რეკლამა

8 აპრილი 2017

ორკაციანი გუნდი მიიღებს დავალებას დამკვეთი ორგანიზაციისგან, შექმნას 60 წამიანი ვიდეო რეკლამა გარკვეულ პროდუქტზე. გუნდებს ეძლევათ მხოლოდ **2 დღე**, იმისთვის, რომ მოიფიქრონ ორიგინალური სცენარი, გადაიღონ და დაამონტაჟონ ვიდეო. გადაღება დასაშვებია მხოლოდ GoPro კამერით, რომელსაც კონკურსის დღეს მიიღებს ყოველი გუნდი. რეკლამა უნდა ახდენდეს კრეატიული ხედვის დემონსტრირებას.

გუნდები იღებენ ამომწურავ ინფორმაციას და დეტალურ დავალებას დამკვეთი ორგანიზაციისგან კონკურსის დღეს 16:00 საათზე, იწყებენ მუშაობას და აქვთ 48 საათი დავალების შესარულებლად. კონკურსანტები ამ პერიოდის განმავლობაში არ არიან შეზღუდული სამუშაო ადგილის მხრივ.



## კატეგორია - ციფრული კამპანია

1 აპრილი 2017

კონკურსში ორკაციან გუნდს ევალება შექმნას ციფრული სარეკლამო კამპანია. მათ მოუწევთ გამოიყენონ სოციალური მედია და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიები, რათა მიიღონ სასურველი შედეგი.

კონკურსანტებმა თვალსაჩინო უნდა გახადონ, თუ როგორ შეუძლია სოციალურ მედიას და მისი გამოყენებით ნაპოვნ კრეატიულ გზებს უპასუხონ დამკვეთის მოთხოვნებს.

გუნდმა უნდა წარადგინოს დავალება შემდეგ სამ ნაწილად:

- კრეატიული ნაწილი - როგორ შეიძლება კრეატიულად გადაჭრა არსებული პრობლემა სოციალური მედიის და ტექნოლოგიების გამოყენებით? კამპანიის მიმოხილვა.
- რა არის გამოსავალი? - რომელი პლატფორმები, ტექნოლოგიები და საშუალებებია გამოყენებული და რატომ?
- როგორ იმუშავებს ეს სქემა? - როგორ უპასუხებს ეს კამპანია დასახულ ამოცანებს და დავალებას?

გუნდმა უნდა დაწეროს 250 სიტყვიანი აღწერა თითოეულ (სამივე) ნაწილზე და ასევე მოახდინოს იდეის ვიზუალური პრეზენტაცია (მოქაფებით, სიმულაციური სურათებით). აუცილებელია, გუნდმა კამპანიაში გამოიყენოს 3 სოციალური მედიის პლატფორმა.

გუნდები იღებენ ამომწურავ ინფორმაციას და დეტალურ დავალებას დამკვეთი ორგანიზაციისგან კონკურსის დღეს 09:00 საათზე, იწყებენ მუშაობას 10:00-ზე და აქვთ 24 საათი დავალების შესარულებლად. კონკურსანტები ამ პერიოდის განმავლობაში არ ტოვებენ იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტერიტორიას.